

8
1960

ნამ. ი. კანდელაკიძე

საქართველო
გიგანტი



1960 № 31 მაისის უსრულდება 40 წელი საქართველოს
ალექსანდრე კომიტეტის ორგანოს «მოლოდო სტალი-
ნეცი».

ოთარ ჩინელაძე „აშტოშატით“
მოჭინავე ხაზე



შეგობრული შარფი გ. ფიჩოვეალავასი

შენ მგზნებარე სიცყვით იშრძვი,
ჯის რა ეთქმის კარგის გარდა.
დღის გულითად სალამის გიძღვით
ორმოცი წლის ასალვაბრდას.

კვლავაც შრბოლიც წინა ხაბბე
შეგრძელოს შრომის წლები.
მუდამ იყო მოწინავა,
მრავალ ასლის წამომარცვა.

65 ე 3 //

გ ა კ ვ ე თ ი ღ ი

ერთხელ, მაშინ სამსახური ახალი დაწყებული მქონდა, სა-
მი ამხანაგი ხაშის საჭმელად შევეღით სასაუზმეში. ზედ ცოტ-
ცოტა არაყიც დაგაყოლეთ და შეხარხოშებულებს თითქმის ნა-
ხევარი საათით დაგვავიანდა სამუშაოზე. სამთავრენი დირექ-
ტორთან გამოგვიძახეს. რატომ დაიგვიანეთო—გვითხა. ერ-
თმა უპასუხა: ბავშვი გამიხდა ავად და ექიმის გამოსახახებ-
ლად შევიარე პოლიკლინიკაშით. მეორემ მოახსენა: ავტობუ-
სი გაუტელა, ტაქსი ვერ ვიშოვე და ფეხით წამოვედით. რო-
ცა ჩემმა ჯერმა მოაღწია, ვარჩიე სიმართლე მეთქვა. ხაშის
საჭმელად შევეღით და ამან დამაგვიანა-მეთქი. დირექტორმა ის
ორი გაუშვა, მე კი მაგრად შემახურა და მერე ბრძნებით საყვე-
ღური მომარტყა. ეს იყო და ეს, შემდეგში არასოდეს აღარ
ჩამიღენია მსგავსი რამ.

— აღარ დაგიგვიანია?

— როგორ არა, მხოლოდ დაგვიანების ნამდევილი მიზეზი
აღარასოდეს გამიმხელია.

გ. შარაშიძე

წა კა ბ ი ნ

ჩემთვის არ არის ცნობილი, თუ როდის დაიწყეს პირველად
ადამიანებმა ტანსაცმლის დაუთოვება, ან როგორი იყო თა-
ნამედროვე ელექტროუთოს წინაპარი.

ამ საკითხზე მე არასოდეს არ მიფიქრია, სანამ დედისერთა
ელექტროუთო არ გადამეწვა და მის საშოვნელად ამაოდ არ
დავიწყე სირბილი თბილისის მაღაზიებში. ახლაც მაღაზიების
მორიგი შემოვლიდან დავბრუნდი და დამნაშავე ბავშვივით ვის-
მენ ცოლის მორიგ საყვედურებს. ვფიქრობ, ვის ეკუთვნის ტან-
საცმლის დაუთოვების გამოგონება. ცხონებული ბაბუაჩემი და-
უთოვებას დაწვას ეძახდა. ჩემმა ცოლმა რამდენიმეჯერ დაამ-
ტკიცა პრაქტიკულად განსცენებულის აზრი. ამას წინათ დაუ-
თოვების დროს იმდენად გაიტაცა მეზობელ ქალთან საუბარ-
მა, რომ ჩემი შარვლის ცალი ტოტი უდანაშაულოდ შეეწირა
მათ ჭორაობას.

იმ გარემოებამ, რომ დღემდე ვერ შევძელი ელექტროუთოს
შოვნა, მიმიუყვნა ახალ აღმოჩენამდე. ავიღე ელექტროუთო, გა-
ვანთავისუფლე ზოგიერთი ზედმეტობისაგან და დაგდგინავთ-
ქურაზე. გახურების შემდეგ შევუდექი (ცოლს კედარ კენდიბი)
ტანსაცმლის დაუთოვებას. შედეგი იმდენად შესანიშნავი აღ-
მოჩნდა, რომ განვიზრახე ჩემი მოწინავე გამოცდალება სხვა
ამხანაგებსაც გავუზიარო. საჭიროა მხოლოდ მუდმივ მეთვალ-
ყურეობის ქვეშ იყოს ნავთქურა, რომ არ აბოლიტუს და გასაუ-
თოვებელი ტანსაცმლი მეორედ გასარეცხი არ გახდება.

ცხადია, დაუთოვების ეს მეთოდი დროებითა. მალე ალ-
ბათ სათანადოდ დაუთოვებენ იმ ამხანაგებს, რომლებიც გალ-
დებულნი არიან საჭირო რაოდენობით გამოუშვან ელექტრო-
უთოები და ჩემი აღმოჩენაც საჭირო აღარ გახდება.

6. ნუპრიძე

ეს დალოცვილი დედამიწა იმ-
დენად ლამაზი, იმდენად მო-
ხიბლავია თავისი ბაღებით, ზღვე-
ბით, ქალაქებით, კინოთატრე-
ბით, სტადიონებით, რესტორნე-
ბითა და სასაუზმეებით, რომ ადა-
მიანს ამ ქვეყნად მოსვლის პირველ
დღიდანვე დაებადა აქედან წაუს-
ვლელობის აზრი. ამ აზრის გან-
ხორციელება ჯერ სიცოცხლის

გახანგრძლივებისაკენ გადადგმული გაუბედავი ნაბიჯებით
დაიწყო. დიღხანს ცხოვრების შეურველებელი საქმე ჯერ სუ-
რველებით დაიწყეს. მაგალითად, ლვინის სმაში თავი იჩინა
ასეთმა სადღეგრძელებებმა:

— უნს სიკედილს ნუ მომასწროს ღმერთმა!

— იცოცხლე ას წელიწად!

— ორას წელიწადს, სამას... — ამის იქით წასვლას უკი
ურიან ბედავდნენ. როდესაც ამით არაფერი გამოვიდა, მა-
შინ ადამიანებმა დემონსტრაციულად დაანგებს თავი პაპი-
როსის წევას, ლვინის სმას, ღამის თევას, ხორცის ჭამას,
წიგნის კითხვას და დაიწყეს უნ-შენის, ვიტამინების, მაწვნის,
კრემსონისა და ყურძნის წევნის სმა. ამით აისნება ის
ფაქტი, რომ იშვიათად, მაგრამ მაინც ვნედებით დედამიწის
ზურგზე მოსიარულე 150—180 წლის ადამიანებს. როდესაც
ამ ქვეყნიდან წაუსვლელობის პირველი საფეხური ასე დადე-
ბითად იქნა გადაწყვეტილი, ადამიანი უკედავებაზე დაიწყო
ოკენება. კაცობრიობის საუკეთესო შეილები შეეწირნენ ამ
იდეის განხორციელებას, მილიონი ადამიანის ტეინი აზილა
ციეილიზაციამ, ათასობით ადამიანს ეწოდა უკედავი, მილიარ-
დი წიგნი დაიწერა უკედავებაზე და, ბოლოს, ყოველივე ცდას,
როგორც წყალში ჩაცვინილს, დიდმა შოთამ ერთ სტროფში
მოუყარა თავი:

ვერ დაიჭირაგს სიკედილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი,
მისგან გასწორდეს ყოველი, სუსტი და ძალგულოვანი,
ბოლოს შეჰყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მხცოვანი...
და ასე შემდეგ. მაგრამ სიცოცხლის გახანგრძლივების ისტო-
რია მაინც საესეა პარადოქსებითა და მოულოდნელი აღმო-
ჩენებით.

აა, ჩვენს წინ დევს სამოქალაქო სამართლის საქმე
№ 2/2670 სამეცილროზე ქონების გამოყოფის შესახებ, რომე-
ლიც განიხილა ქუთაისის სახალხო სასამართლომ. ჩვენ, ამ შემ-
თხვევაში, არ გვაინტერესების, თუ რაზე დავობენ მოწინააღმდე-
გნი, მათ საქმეს სასამართლო გადაწყვეტს, მაგრამ საქმე
№ 2/2670-ში ჩაერებულია ერთი დოკუმენტი, რომელსაც
შეზმარიტების დასტურად სამკუთხა ბეჭედი აზის და ხელს
აწერს ჩვენი საუკუნის მესი ნესტორ აღექსის-ძე კუხიანიძე. სიტ-
უფა-სიტუეით მოგვყავს ეს დოკუმენტი. საქმის ფურცელი 118.

ც ნ თ ბ ა

მძღვანელი აღექსის-ძე კვანტალიანს,
რომ ის ნამდგილად ცხოვრობდა ქ. ქუთაისში
ხელის ქ. III № 19-ში და გარდაიცვალა ა/წ.
27/VII.

ცნობა ეხავისოდა ხახამართლოში წარხადგენად.
ხაუბ. ხამე. კომისიის თავმ. ნ. კუხიანიძე.

28/VII—59 წ.

როგორც ცნობილან ჩანს, გარდაცვლილი ვლ. ქვანტალიანი
მისულა კუხიანიძესთან და ცნობა გამოურთმევია საკუთარი
გარდაცვალების შესახებ. შემდეგ წასულა თავისი ფეხით სა-
სამართლოში, ცნობა წარუდგენია და საქმეში ჩაუკერებია.

ერთია ცხადი: ან კუხიანიძე საიქიოს ნაყოფზე ცნობის
გასაცემად, ან ქვანტალიანია მისთან მისული ცნობის მისა-
ლებილ.

სულ ერთია, ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს ადამიანთა
გონიერისათვის მიუწვდომელ ცუნების განხორციელებასთან,
კერძოდ იმასთან, რომ ადამიანი არ მომევდარა, იგი უკვდა-
ვია. და ის, რაც დღემდე სიკედილად იყო წოდებული და, რაც
სპობდა თავისი ცელით განურჩევლად ყველის, აღირ
არსებობს. არ არსებობს, რაღაც არსებობს ცნობა, რომლის
ძალით გარდაცვლილი იღებენ ცნობებს, ესწრებიან სისა-
მართლოებს და ისმენენ ვექილების გარაქრულ რეპლიკებს,
და რომ ყოველივე ამას ხელს აწერს ნესტორ კუხიანიძე,
და რომ ყოველივე ამას აზის სამკუთხა ბეჭედი.

ვაი რა ტყუილიდ ეხვეწებოდა საბრალო აბესალომი შურ-
მანს—უკედავების წყალი მომიტანე, შემასევი და მომარჩინეო.
მისულიყო კუხიანიძესთან, მისცემდა ცნობას—უკედავი ხარო,
აღარც ეთერი მოიკლავდა თავს, აღარც მურმანი და მშვენი-
ერი მხიარული იპერა გამოვიდოდა.

სიცოცხლის მოყვარული კაცობრიობის სახელით დიდი
მაღლობა ნესტორ კუხიანიძეს სიცოცხლის უკედავებისათვის!

ჭ. გესახებისერი
ო. კოლუაზვილი

ნახ. ე. გერძენიშვილის



— ქალო, კოსმეტიკაზე იმდენ ფულს ხარჯავ, ლა-
ზებ გავგიდე!

— კოსმეტიკის გარეშე რომ ვნახო, მაშინ ხომ და-
ხაბმელი გახდები!

მართონი

უკავშირი

სამინისტროში მამხილებელი უსახელო ჭერილი შემოვიდა — რაიონის საგარეო ქსელში დანაშაულს ჩადიან, მაღაზიები გატენილია უფაქტურ საქონლით, ჩამოლით და ნახეთო.

— ხალცე გაემგზავრე, წერილში აღნიშნული ფაქტის სისწორე გასიჯე — მიბრძანა უფროსმა.

მეორე დღეს მატარებელი დანაშაულების აღგილშე მიმაქროლებდა. ვაგონიდან გადმოვედი. ის იყო ბაქაზე ჟენი დავდგი, რომ ვიღაცამ მომაყვირა — ამას ვის ვხედავ, სკოლებ ჰეტი, სკოლებ ზიმ, ჩემო ნიკანდრო! — ჩემს წინ შორეული ნაცნობი გრამიტონი იდგა. ხელი ჩამომართვა და გადამკოცა.

— მივლინებით ვარ, ორ დღეს დავვრჩინი, — მივეცხე და ვთხოვე საგარეო განყოფილების აღიარება ეჩვენებია.

— რა? რა დროს საქმეზე წასვლაა, ჩემთან წამოდი, ხელ-პირი დაიბანე, ვისაუზმოთ და მერე წადი, შე კაცო. პისიდის მანც არ ნახავ? — მივხედი, კოლოზ ლაპარაკობდა, ხათრი ველარ გავუტეა ხე და მივყვენ.

ორსართულანი სახლის ჭირარს მივადევით:

— ამას ვის ვხედავ? ასე უნდა, ბოშო, დავიწყება? — შემომეგება უცნობი პისიდი.

— ააა, პისიდი, ჩევენ სტუმარს ხელ-პირი დაგანანიოთ და მერე გვეკამე რამზ. — მიმართა გრამიტონმა მუცულეს.

მალე სუფრას მივუჯევით. მასპინძელმა არყოთ საქცე გრაფინს ხელი მოჰკიდა და ჭიერებში ჩასხმა დაიწყო.

შე შევაჩერე: — ჩემო გრამიტონ, მე ვერ დავლევ, საქმე მაქეს გასაკეთებელი.

— დღია ააეტიტა, ბოში, ერთი ჭიერა რას ვიზაში, შე კაცო, — მომიგიო. შეც ხათრი ვერ გავუტეხე, დავილოცე და არაყო გადავგარი. ერთს მეორე მოჰკვა, მეორეს — მესამე, ღმერთს სამება უყვარსო.

ის იყო ადგრძას ვაპირებდი, რომ ოთახში ორი გამაყაცი შემოვიდა. ჩემი მასპინძელი ჟეტე

ჭამოდგა, ხელი მათკენ გაიშვირა და მომმართა. — პაზნაკომტეს, მოი დღუზია, გრიგოლ კროჭი ი ისიდორე ჰელთაძე. შემდეგ ჩემკენ მოტრიალდა და ახლა მათ გააცნო ჩემი თავი, რატომლაც ისვერუსულად „ა ეტო მოი ბლისკი დრუგ“.

მოსულები სუურას შიუსხდნენ.

შუალდე იყო, როდესაც მე, გრამიტონს და ზის მეგობრებს ხელში ლიტრანი ყანწები გვეშირა და ვახტანგურად ვსვამდიო. აღარ მასოვს, როდის დავწერი.

დილით ვგიან გამომეღვინა. თავი ძალზე მტკიოდა. საათს დავხედე, ათი იყო. წამსვე წამოვტო. ჩაცმა არ მქონდა დამთავრებული, რომ ოთახში კვლავ გუშინჯელი შეებრუები შემოვიდნენ, ხელში დიდი ქვაბი ეჭირათ ტილოებით.

— ხაში მოგიტანეთ, ახლაც ცხელია, კარგია პახმელიაზე. — წამოიწყო გრიგოლმა და ქვაბი მაგიდაზე დაიდგა. ხაში ძალზე შიყვარდა, თანაც ვიცოდი, „პახმელის“ უებარი საშუალება იყო, ამიტომ ჟავათანხმდი და რათან ერთად სუფრას მიუკავშირდი.

გრამიტონმა სუფრაზე არაყი დადგა, — თითო დავლიოთ, ხაში უარაყოდ ვის გაუგრინა!

— გრამიტონ, არ დამლუპო, ღლევანდელი დღე დამჩრა, ხვალ დილით თბილისში რომ არ ვიჟო, სამსახურიდან მომსხინან.

— ერთი ჭიერა არაფერს გიზამს, — მიასახუა მასპინძელმა და არაყი მომაწოდა. გადავკარ. მეამა. ორჯერ კიდევ გავიმეორე და შევატყვე, რომ გუშინდელი სიმთვრალე თანრათან ედებოდა ჩემს სსეულს. გრამიტონმა ღრმა თელში აიღო და დაიიჭყო:

— მეგობრები დამრთეთ ნება შეესვა წმინდა გუშინდან ამოტყორული საღლევრებელო ჩენი ძვირი ფინანსების — ბებიერისა და ბაბუების საუკუნი ხსოვნისა.

გრამიტონი ისე ამაღლევებლად ლაპარაკობდა, რომ ვეღარ მოვითმინე, თევზში გამოვართვი, და სულმოუწმელად გადავკარი. გუშინდელი გან-მეორდა...

რალაც ხმაურმა გამომაღვიდა, ჭიერები მტკიოდა, განი რომ მოვადინე ია ტატაზე. უფალო გაუბრივი წილი გვერ მივხვდი სად ვიყავი. ვიღაცა იატაკილა ჟა-ყუნებდა.

— ნადა ვარ? — ვიკითხე ჩახლეჩილი ხმით. — ვა-გრიში ბრძანდებით, მიბასუხეს. — ძალზე მოტრალი ამოგიყვანეს მეგობრებმა და გაუხდელი დაგაწვე-ნებო.

— ახლა სადა ვარ?

— მცენაში. შალე თბილისში ვაჭებით. გამაჟრეოლო, ყველაფერი გამასტენდა...

— ვაი შენ, ჩემო თავი, არ დავილუე კაცი რაღა ვენა ახლა. მიმხსნან ჭანჭიერი და შეიძლება ბასუხისგაბაშიაც მიმცენ. — უფიქრიბდი შე-შინგული. აკანკალებული ხელი ჯიბში ჩავიყვა. ბაპიროსის ამორება მინდოდა, რაღაც ქაღალდები მომხედა ბრძონე. რა უნდა იყოს? — გაფრთხიერე და ამოვიღო. დაგეხედე და სახტად დაგრჩი. «შემოწმების აქტი» — ეტერა ქაღალდზე. ბოლო გვერდს და ვაკემერდი აქტს რამდენიმე კაცი აწერდა ხელს: საკურო განყოფილების გამგე — ჩემი მასინძელი გრამიტონი, მაღაზიის გამგები ახალგაცნობილი მეგობრები — გრიგოლ კროჭი და ისიდორ ბელთაძე. ჩემი ხელმოწერადა აკლდა. შეებით ამოვისენთქმე და აქტის კითხვა დაგიწყვე. აქტში სრულყოფილი იყო მოცემული მათი საქმიანობის მთელი სურათი, გვეგის შესრულების სხვადასხვა ციფრობრივი მაჩვენებლი, აღნიშნული იყო დაღებითი მხა-რები და ზოგიერთი ნაკლი (ისეთი, რომელიც თი-თემის ყველას ვაჩინია). აქტი ასე თავდებოდა: „რაც შეეხება მაღაზიებში უფაქტურ საქონლის შეტანის ფაქტს, იგი არ დადასტურდა და ცილის წამებად უნდა ჩაითვალოს“.

ღმილი მომერია, ყოჩალ გრამიტონ-მეტეი — წა-მოვიძე. აქტს იქვე მოვაწერე ხელი ავტოგამით და პირდაპირ სამინისტროში გავეშვერ.

ასე ჩაგატარ მოულოდნელი „შემოწმება“.

ლ. გველაძი

580 წლის 243 წლის

კურისმებელი და მეტების

ჩვენს მეცნიერებს დიდი სალამი, ჩემი ტაში და ქება-დიდება, რომ პული ხშირი მასინის გაუბრივობის შეტანის ფაქტს, იგი არ დადასტურდა და ცილის წამებად უნდა ჩაითვალოს“.

ზოგი

გშიშობ შენსა გარეცხას, შენ, ზიზია პერანგო, წინა პერანგითა იქნებ შენაც ვერ მარგო!

საყიდეს გილვა

ქალაქში ახლა წვიმაა, ცა მოღუშული დამცერის, საწვიმრის მიღმა ქუჩაში თავზე დამიშვა ჩანჩერი.

ზარი ღმალის

ნახ. დონიხა



— კვერცხი ახალია?

— ვამ, ახალი რომელია, ემ ხათში ჩიყიდნია ხოცულები

დედაკაცისაგან!



გრძელებას ფილოსოფიური დასკვიტი

ერთ სუფრასთან მოქეთებით შორის ბრძენებაც იჯდა.

არ მოწონა ჭირვეულ კაცს ბრძენებაცა, აუზირდა: ორლიტრიანი ყანწი უნდა დაცალო. ბრძენებამ არ დალია. გაბრაზდა კაცი ჭირვეული და უთხრა ბრძენებაცას:

— რა კაცი ხარ შენ? შენოდენას ჭადას გადავყლა პავო. (ბრძენებაცა დუმდა).

— ცალ თითს გაგრავ და წელში გაგწყვეტავ. (ბრძენებაცა დუმდა).

— შენ რომ ლვინოს დალებ, იმდენს მე ყურებში ჩავისხამო.

— დიდყურას დიდი ყურები — აქესო. — გასცა პასუხი ბრძენებამ.



— სამარტინო ამბავი მოხდა, ბრძენებაცა, ახოვანმა, შაგრამ მთვრალმა ვაჟა-კაცმა ქუჩაში ურნა გადაყირავა. — როგორ! შენ გინდოდა, რომ ახოვანი და მთვრალი ვაჟაცი ქუჩაში ურნას გადაყირალგებინა! — აღ-შფოთებით იყითხა ბრძენ-კაცმა. — მერე დედაბერს დაეჯახა და წააქცია!

— ესლა გვაქლია, ვაჟა-ნება, ხმას არ ახოვილებო. — უბასუხა ბრძენებამ.

— გიოს! ერს ჩვენსას ვაჟა-

ცები სჭირდება და არაის თები, დედაბერი რომ წააქცევსო.

სწორია ბრძენებაცა.

* * *
— კარგი რეცენზიის შემდეგ ერთი რომანი წავიკითხე და ცუდ გუნდაზე დავლექით. — შესჩივლა შეითხეველმა ბრძენებას.

— ნუ გეშინია, ლვინო რომ გამონელდება, არც რეცენზიტი დალგება კარგ გუნდაზეო, — ანუგეშა ბრძენებაცამ.

* * *
— „დღე უკანასკნელი და დღე პირველზე“ რას იტყვიო, — პეითხეს ბრძენებას.

— თუ უკანასკნელი იქნება, ხმას არ ახოვილებო. — უბასუხა ბრძენებამ.

გრი-გოლი!

კრისტე

(ხლოვაკური იუმორი)

... კარი გაიღო, ზღურბლზე დამნაშავესავით შეჩერდა ჩემი ბიჭი.

— მამა, — მითხრა მან, — ცოტა გაისარევ და აღმზარდე.

— რას გულისხმობ აღზრდაში?

— რა კიცი. ცოტა მანც აღმზარდე. წიგნში ხომ წერია, მშობლებმა შეიღო უნდა აღზარდონ და შენც ხომ მშობელი ხარ?

— ვარ, — ვასაუხობ სამამიდ დამჯერებლად.

— მე ხომ ბავშვი ვარ, — მავალებელი თვალებით შემომცირინბას ბიჭი, — აღმზარდე.

— შენ ხომ იცი, რომ ახლა სერიოზული სამუშაო მაქვს შესასრულებელი.

მან შებლი შეემუშანა და წარმოთქა!

— ყველა მშობელი ზრდის თავის შეიღებს, შენ კი არა.

« რა თქმა უნდა, ეს მან დედასაგან გაიგონა», — გავიფიქრე და ვუთხარი: — როგორ, მე შენ აღზრდაზე არ მასხრუნა?

— არ მასხრეს.

ავდები და ოთახში ბოლოს ცემა დავიწეუ. თავის დროზე პედაგოგიური გამოცდაც კი ჩავაბარე. იქ აღზრდაზე იყო რალაც მსჯელობა, მაგრამ იგი გარკვევით არ მახსოვეს.

— უნდი ასაკის ბავშვები, — დავიწეუ მე დამრიცებლური ტრინით, — 75% დედის მზრუნველობით უნდა აღიზრონო.

— დედა სამუშაოზე. მე უკვე მიიხვდი, რატომ არ გინდა. აღმზარდო. შენ არ შეგიძლია აღზრდა.

« ეს ნამდვილად დედამ შეაგონა», — გამიეღვა თავში, გაეცხარდი და ვუთხარი:

— ჯერ ერთი, უნდა იცოდე, რომ მე პედაგოგიაში გამოცდები ჩავაბარე, მეორეც, მე წაკითხული მაქვს მაკარენი და, საერთოდ, კულტურული კაცი ვარ. მესამე, — ექვსი წლის პედაგოგი მაქვს!

— მაშინ შეუდები ჩემს აღზრდას!

— ეჭმაება დასწეულოს! — წამოიძახე მე, — შეიგნე, რომ მე უნდი აღზრდა დიდი ხანია დაწყებული მაქვს. აბა, — ვეუბნები ბიჭს, — ვინ ჩავინერა ტექნიკის სიკურისტი? მე არ გაიგოთ ამწერ, ტრატორი და საბაგირო გზა?

— მართალია, დასწეულოს ეშმაქმა! — თქვა მან სერიოზულად. გაიცინა... — რას ნიშნავს სიტყვი დასწეულის ეშმაქმა?

— ეს შენი საქმე არ არის, — აღვმოლდი მე, — შენ დამახსოვრე, რომ დიდების ლაბარაჟში არ უნდა ჩავირიო. კიდევ რა მინდოდა, რომ მეოქვეა?

შიგმა მწარედ ამიოხრა და განაცხადა:

— აღზრდა არ შეგიძლია. საგარძელში ჩავვეჭი, ბაჭი მუხლებზე დავისვი, თავზე მამაშეილურად გადავუსვი ხელი და დავიწეუ: ამიერიდან შენ ილაპარაკებ მზოლოდ სიმართლეს, ბოლიშ მოუხდი დეიდას სათვალის მალეისათვეს და ვახშმის წინ ხელებს დაბანა.

— ხელებს ორჯერ დავიან, — გადაწყვიტა მან, — მაგრამ ბოლიშ არ მოვიხდი.

— ეს უსინდისობა იქმნება, — ვუთხარი წყნარად.

— სამჯერ... პირსაც დავიან და მუხლებსაც.

მე ურყევად ვადები ჩემს სიტყვას. ბიჭიკო ერთს კიდევ ფიქრობდა და მერე კარისაკენ გაემართა.

— სად მიიდარ? — შევეკითხე მე.

— შენ სასწრაფო სამუშაო გაქვს, — მითხრა მოღუშულმა და აჩქარდა. — აღზრდა გაზაფხულისათვეს გადავდოთ. — თქვა ეს და თვალს მიეფარო.

მალე დაბრუნდა ჩემი ცოლი. მე სამუშაოს ერთი წიგნით მივანები თავი და ვუთხარი:

— მე უნდი ბიჭის აღზრდას მოუხდი და სამუშაოს თავი მივანები.

— მე უკვე შევნიშნე, — მიასაუხა კოლმა. — როცა მასთან შეედი, — მიყვირა: « ეშმაქმა დალავროს, დედა, რა გვან მოხვედი! »

სარჩევა კოლეგი: ა. ბელიაშვილი, ბ. დუმბაძე, ც. კლიმიშვილი, დ. მალაზონია, ე. ქარჩავაძე.

ნიანგი

შოთარიობა — გეოგრაფიის ჟურნალზე მოსწავლემ უპისუხად საქართველოში იმდენი არაშეს რაიონია, რამდენიც ვერის ბაზარში სიმინდის ფქვილის გამყიდვილობა.

დრამა — მსახიობს სიცოცხლე სურდა, მაგრამ დრამატურგმა არ დააცალა.

გამოკვლევა — რიონი და ცხენისწყალი არივე წყალია.

ბალანსი — „ბელინსკის თონეზი“ ქართული პური დილით 3 მანეთი ლირს, — საღამოს 5. ნავაჭრი სხვაობას არ იძლევა.

გ. მელქაძე



— რატომ დამატებითი ლიტერატურა არ გამოიყენეთ?

— ბატონი, დამატებით ნიშანს ხომ არ გთხოვთ, „საშუალო“ დამიწერეთ.

რედაქტორი 6. შველიძე.

თბილისი. სატირისა და იუმორის უურნალი „ნიანგი“. თბილისი. Сатирико-юмористический журнал „Нианг“. თემატიკის მიხამართ: რედაქტორის განხ. № 42. ფორმატობრივი რედაქტორის — 3-76-69, საერთო განყოფილების — 3-10-49.

გამოც. № 10 ბერძონ. დასაბ. 16/V-1960 წ. ქალ. ზომა 70X108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5. პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. პოლიგრაფიკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. 14. ნეკ. № 774 უ. 02845. ტირ. 40.000

ბონში ცდილობდნენ დაუცვათ გერმანიის უედერაციული რესპუბლიკის მისამართი თეოდორ ობერლენდერი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესმა სასამართლომ ობერლენდერს არაერთგზის ჩადენილი მკვლელობისათვის, მკვლელობის არაერთგზის წაქეზეპისათვის, ადამიანთა სიცოცხლის წინააღმდეგ დანაშაულებებში მონაწილეობისათვის მიუსაჯა სამუდმო კტორდა და სამოქალაქო უფლებებზე სამუდმოდ აყრა. მიმე დანაშაულებებში მზილებული სისხლით მიწინტერი მარტინ ლებული გახდა გადამდგარიყვა.



— რამდენი ვეცადეთ დაგვეცვა ჩვენი კოლეგა, მაგრამ
ისეა მოსხრილი ადამიანთა სისხლით, რომ ვერაფერი მოგუ-
ხერხეთ.